სპარტაკიადა დამთავრდა, სპარტაკიადა გრძელდება

გუშინ მოსკოვში საზეიმოდ დაიხურა სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 152 (7463)

7 1983 წ. აგვისტო კვირა. ფასი 3 კაპ.

აძართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

სპარტაკიადა გაკვეთილი იქნება ჩვენთვის

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, პირველი ყოველი[სა], გრანდიოზული ასპარეზობაა, საინტერესო, უმრავლესობა[თა] ... სპორტული ფორუმი, მაგრამ სპარტაკიადის ... ბრძოლებით გამორჩეული ჯიბრებითა და ბევრ [ა]... სპარტაკიადის პროგრამაში სპორტულ შეჯიბრებული ტრადიციები ... ადგილი ღონისძიებასაც თანაბრად სწყალობს მახვილგონიერ სპარტაკიადის ფინალური ტურნირის სანაპირო ... ასაც უწყობა მოკავშირე რესპუბლიკის დღეები, იმართება ... ტურესო შეჯიბრებები, რომლებშიც მონაწილეობენ სპორტის ხელმძღვანელი მუშაკები, გამორჩენილი სპორტსმენები, სპორტის ვეტერანები, ჟურნალისტები, სპორტკომენტატორები და წარმომადგენლები.

ამგვარ შეჯიბრების სსრ კავშირის სამრეწველო პრესკონფერენციის სახით მასპინძლობდა. გასულ ორშაბათს კი მოიწყო ამგვარივე რესპუბლიკების დღეს გიმნასტიკული. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სპორტკომიტეტების თავმჯდომარეებმა, იმ რესპუბლიკების სახელოვანმა სპორტსმენებმა, სსრ კავშირის სპორტკომენტატორებმა წარმომადგენლებმა, უპასუხეს ცენტრალური სააგენტოებისა და გაზეთების, მოკავშირე რესპუბლიკების პრესის მუშაკების, სპარტაკიადაზე აკრედიტებული უცხოელი ჟურნალისტების მრავალრიცხოვან შეკითხვებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ **რამაზ გოგელიძემ** თავის სიტყვაში მოკლედ მიმოიხილა ქართული სპორტის ისტორია და დღევანდელობა, ხაზი გაუსვა იმ დიდ ყურადღებას და მზრუნველობას, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელი ორგანოები ანიჭებენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისთვის, მასობრიობისა და ოლიმპიური ამაღლებისათვის. შეჩერდა იმ პრობლემებსა და საჭიროებებზე, რომლებიც ხელს უშლიან რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის აღმავლობას. შემდეგ საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა, ოპერეტის სოლისტმა **დავით ყიფიანმა** უპასუხოს ჟურნალისტთა შეკითხვებს.

დღეს სწორედ ამ კითხვა-პასუხის მოკლე ჩანაწერს გთავაზობთ.

საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის მონაწილე რესპუბლიკებს, ავტონომიური მოკლევის და ლენინგრადის კოლექტივების საერთო გუნდური მდგომარეობა:

	ქულები	ადგილი	საერთო ადგილი
I ჯგუფი			
რსფსრ	11867	I	I
უკრაინა	10148	II	II
მოსკოვი	9772	III	III
ლენინგრადი	6935	IV	IV
ბელორუსია	6845	V	V
II ჯგუფი			
უზბეკეთი	3992	I	VI
ლიტვა	3559	II	VII
აზერბაიჯანი	3544	III	VIII
ლატვია	2994	IV	IX
საქართველო	2836	V	X
III ჯგუფი			
სომხეთი	2053	I	XI
აზერბაიჯანი	1740	II	XII
ესტონეთი	1490	III	XIII
მოლდავეთი	1338	IV	XIV
ყირგიზეთი	1166	V	XV
ტაჯიკეთი	935	VI	XVI
თურქმენეთი	448	VII	XVII

• • •

კითხვა: თქვენ უკვე ახაპრეთ სპარტაკიადაზე რესპუბლიკის სპორტსმენთა გამოსვლის ცალკეულ მომენტებზე. სპორტის ზოგიერთ სახეობაში წინასწარ ვერძნობა, მაგრამ მთლიანობაში თქვენ სპორტული დელეგაციის შედეგებით, ალბათ, კმაყოფილი არ ხართ.

რ. გოგელიძე: ჩვენ ახლა საერთო ჩათვლაში მეათე ადგილზე ვიმყოფებით, სპარტაკიადამ თავისთავად გვიჩვენა, რომ სპორტის ბევრ სახეობაში მნიშვნელოვნად ჩამოვრჩით. მომავალ ოთხწლიან ციკლში ყველაფერი უნდა ვიღონოთ მდგომარეობის გამოსასწორებლად, ამ პირთიოლისთვის ძირითადი სტრატეგიული გეგმა უკვე შემუშავებული გვაქვს. ამ გეგმის შესრულებას, პირველ ყოვლისა, უნდა უზრუნველყოს ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მასობრიობის მკვეთრი ამაღლება, ახალ-ახალი ტალანტების გამოვლენა, სპორტული ოსტატობის განუხრელი ზრდა: კარგად მოგეხსენებათ, თუ როგორ გართულდა სპორტული მწვრთვალებისკენ მიმავალი გზა. თუ ადრე ციკლური ტალანტები და სპორტის ინოვაციები ოთხად აღწევდნენ წყობისტებზე, თანამედროვე სპორტი უყლრესად დიდ მოთხოვნებს გვიყენებს და გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ჩვენი სპორტის ბევრი მუშაკი — ხელმძღვანელიდან დაწყებული რიგითი მწვრთნელითა და მეთოდისტით დამთავრებული — ამ მოთხოვნათა სიმაღლეზე არ აღმოჩნდა და, ცხადია, ვერ აუპა მხარი სიახლეებს. მთელი სპორტული მოძრაობის ორგანიზაცია და მართვა, სპორტული მეცნიერების მიღწევებს.

ფართოდ გამოყენება, წვრთნა-ვერაჯნების პროგრესული მეთოდების დანერგვა, სელექცია, სპორტული სექციებისა და ჯგუფების პერსპექტიული მოზარდებით დაკომპლექტება, მწვრთნელთა კვალიფიკაციის, პროფესიული ოსტატობის ამაღლება — აი, ის ძირითადი ამოცანები, რომელთა ... მიზანდასახული დაძლევა-გვმართებს. ჩვენ უკვე გადავდგით პირველი კონკრეტ-

(დასასრული მე-2 გვ.)

სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადა

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტების ტელეფონით გადაცემები:

კიდევ 5 მედალი

გუშინ სალამოს მოსკოვში, სახელმწიფო ცენტრალურ საცურაო ცენტრში დაიხაზა „ოლიმპიური“ სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადა. სამშუხაროდ, ამჯერად ჩვენი სპორტსმენები (გარდა ამასთანავე ცურვის ოთხეულისა) მაყურებელთა რიცხვში გამოდიოდნენ. დილით, წინასწარ გაცურვაში, ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოიპოვა გადაწყვეტ ტურნირში მონაწილეობის უფლება: 200 მ-ზე კომპლექსურ ცურვაში გამოიდელი ზ. კუპუნიძე და ლ. ლუნინა შესაბამისად მე-18 (2.14,97) და 27-ე (2.20,45) ადგილებზე გავიდნენ. ხოლო ჩვენმა 15 წლის ვოდონენმა, დინამოელმა მ. ჭრიალიანოვამ და დ. მაისურაძემ („შრომითი რეზერვები“) 200 მ გულღრმა ცურვაში შესაბამისად 33-ე (2.37,05) და 38-ე (2.45,19) ადგილები დაიკავეს.

დაგვეთანხმებით, ცოტა არ იყოს, მოსაწყენია, ასე ვთქვათ, „სხვათა ომის“ ცქერა, მაგრამ ამანათურვამდე საკმაო დრო იყო და ჩვენც გადავწყვიტეთ უძლეველთა ბრძოლისთვის გვედევნებინა თვალყური. სანახაობამ კი მართლაც საინტერესოდ ჩაიარა, თუნდაც იმიტომ, რომ ამ დღეს სტარტზე ცქვაე გამოვიდა საბჭოს ოლიმპიური და ოთხზეს მსოფლიო ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, 23 წლის ლენინგრადელი ვ. სალნიკოვი, ცხადია, მის გამარჯვებაში 1500 მეტრ დისტანციაზე თავისუფალი სტილით ეჭვი არავის ეპარებოდა. საკითხი ის იყო, თუ რა შედეგს აჩვენებდა საბჭოთა ცურვის ლიდერი. მართალია, ამ დღეს სალნიკოვს ახალი რეკორდი არ დაუმყარებია, მაგრამ ისეთი უპირატესობით მოიგო, რომ თვითონ მონაწილეებმაც კი ტაშით დააჯილდოვეს. თავად გამარჯვებული სალნიკოვი დისტანცია 15 წუთსა და 17,13 წამში დაფარა და თითქმის 5 წამით გაუსწრო II ადგილზე გასულ უკრაინელ ე. პეტროვს — 15.22,90. ფინიშზე III იყო უკრაინის გუნდის კიდევ ერთი წარმომადგენელი ს. სემიონოვი — 15.33,01.

ამ დღეს ლუჟნიკის წყალში რეკორდები მთანც დაფარდა. ორი მათგანი ეკუთვნის საბჭოთა სპორტსმენებს, უკრაინელ ვ. კლიჩკოს (200 მ გულღრმა) — 2.15,24 და მის თანამემვლეს ვ. სიდორენკოს (200 მ კომპლექსური ცურვა) — 2.04,20, ხოლო მესამე მილწევის ადგილი ჩვენი სტუმარი გდრ-დან ჟაკლინ ალექსი (200 მ ბატერფლაით) — 2.13,21. სამივე შედეგი სპარტაკიადის ახალი რეკორდია.

უკრაინელი მოცურავენი უძლიერესნი აყვნენ აგრეთვე ვაჟთა

(დასასრული მე-2 გვ.)

გუნდური მდგომარეობა

სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს შორის

I. „სპარტაკი“	19700,1
II. „დინამო“	16094,4
III. „ტრუდი“	10385,5
IV. „სპარტაკი“	6154,1
V. „ბურევესტნიკი“	5557,1
VI. „უროჟაი“	4211,6
VII. „შენიტი“	3921,1
VIII. „შრ. რეზერვი“	3202,4
IX. „ლოკომოტივი“	1988,4
X. „ვოდნიკი“	618,7
XI. „ფიზკ. სპორტი“	569,0

სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადა

სპარტაკიადა გაკვეთილი იქნება ჩვენთვის

(დასაწყისი)

ული ნაბიჯები რესპუბლიკის სპორტული მოძრაობის ცენტრალიზაციის, სპორტის ცალკეული სახეობების განვითარების გეგმაზომიერი განვითარების გზაზე. სამოულოდ უნდა მოისპოს ეგრეთწოდებული უწყებრივი ბარიერები, მზრუნველობა [illegible] მოვაკვლით ერთ არ უ[illegible]ს, არც ერთ პირსაყრელზე [illegible] სპეციალური მოზარდი.

სპარტაკიადა დიდი გამეორებაა ჩვენთვის, ახლო მომავლში პრაქტიკული პიროვნული მსჯელობა გვექნება რესპუბლიკის ნაკრები გუნდების, ცალკეული სპორტსმენების გამოცდის შემდეგ ახლად შეიქმება ოთხივე, რომ სწორედ ეს პრეტენზიები გვაქვს ჩვენი ძლევისნების, ტანმოვარჯიშეების, სპორტის სათამაშო სახეობების წარმომადგენლების, მოკრივეების, ნიჩბოსნების, მოფარიკავეებისა და სხვათა მიმართ, სამწუხაროდ, ამ სახეობებშიც დავიშვით პოზიციები, რომლებშიც ტრადიციულად ძლიერები ვიყავით, თუმცა ჩვენ ერთნაირ მოთხოვნებს ვუყენებთ ყველა სახეობას სპარტაკიადის წარმომადგენლებს და ეს პოზიციაც სავსებით სწორად შეგვიძინია. მე არ ვიზიარებ მოსაზრებას, რომ მოსაწოდების მიხედვით მკლიროცხოვანმა რესპუბლიკებმა მხოლოდ სპორტის ტრადიციული სახეობების განვითარებაზე უნდა იზრუნონ. ჩვენმა მეგობრებმა — ლიტველებმა, რომლებიც შესანიშნავად გამოდიან სპარტაკიადებზე, ამ თვალსაზრისით შშვიენიერი მაგალითი გვიჩვენეს. რაც შეეხება ჩათვლას და ქულების დარიცხვის სისტემას, ჩვენი აზრით, ამ ვითარ რამ დასაზუსტებელია (სხვათა შორის ამ საკითხებზე უკვე გვქონდა საუბარი ხელმძღვანელ ამხანაგებთან), მაგალითად, უნდა გაუქმდეს პარალელური ჩათვლის სისტემა, რაც არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს ცალკეულ სპორტულ დელეგაციებს, გუნდების ახლანდელი სატრანსპორო მდგომარეობა ვერ ასახავს მოკავშირე რესპუბლიკებში სპორტის განვითარების რეალურ სურათს. ჩვენ გვგონია, რომ სპარტაკიადაზე მხოლოდ საქართველოში დზრიალი სპორტსმენები გამოვიყვანთ, ეამაოთნი ჩვენი მოზღვევებთან და მოჭიდაოებთან, რომელთა შესახებ უკვე ბევრი თქმულა და დაიწერა.

მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ძიუდოისტთა ნაკრებზე. სპორტის ამ სახეობაში ქართველი ფალავნები ყოველთვის გამოირჩეოდნენ, მაგრამ VII სპარტაკიადაზე მხოლოდ VI ადგილი დაიკავეს. ჩვენ გადავახარისხეთ მწვრთნელთა შემადგენლობა, გუნდს სათავეში ახლა უკვე ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელიც ახლო წარსულში თავად გამოდიოდა დიდ სპორტზე. მას კარგად ეუბნა მხარი კოლეგებმა, თვით მოჭიდავეებმა და ასეთ შეკრძალულ, საქმიან ჰანოოსაულებაზე გუნდი, რომელმაც სპარტაკიადაზე ამპლოტური გამარჯვება მოიპოვა. გადვაბარეს მოჭიდაოების ისტორიაში პირველად დაეუფლნენ ვერცხლის მედლებს. ჩვენს სახელგანთქმულ მოზღვაოე ქალებს ვეუბნები ამთუდენ მზარდი და სამომავლოდ საქართველოს ვერცხლის მედლებს უკან ჩამოატოვა ბევრი ღირსეული ფავორიტი. ეს და სხვა გამარჯვებები გვახარებს და გვაიმედებს კიდეც.

კითხვა: როგორი გამოხმაურება ჰპოვა თქვენს რესპუბლიკაში გაზეთ „ზვეზდნის" ინიციატივამ — „მთელი ბრიგადით სტადიონზე"?

რ. გოგლიძე: ეს არის შესანიშნავი თაოსნობა, რომლის პრაქტიკული განხორციელებისთვის ჩვენ იმთავითვე აქტიურად დავირაზმეთ და დღეს უკვე შეიძლება თამამად ვთქვა, რომ საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა ამ საინტერესო მოძრაობის პროპაგანდისთვის, მოწვნავე გამოცდილების დასაზოგადოებრივი ნაკრები საერთო გუდულ ბრიგადა-ფიზკულტურული მუშაობის ფორმის დასაკვიდრებლად. მაგალითებია [illegible] სპორტი დამიანის ფიზკულტურა [illegible], ეს ეუბნებოდა რომ ახალ [illegible] ამიტომ თავს კარგადაც ვცნობილ, [illegible] აუცილებელია სწორედ საწარო. კოლექტივის ძირითადი უკრნი — ბრიგადა აქტიურად ჩავაბით ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში. გაზეთ „ზვეზდნის" ინიციატივასთან დაკავშირებით ჩვენ სპეციალური გადაწყვეტილება მივიღეთ და ამ ერთი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგებს თუ შევაჯამებთ, წარმატებები უთუოდ გვაქვს. ამ მოძრაობაში ფაქტიურად ჩაებნენ ახალგაზრდული-კოლექტიური ბრიგადები, რომლებიც ცალკეულმა საწარმო-დაწესებულებებმა სოციალისტური შეჯიბრებაც გამოაცხადეს, ეწყობა ამგეთვე კონკურსები საუკეთესო სპორტული ბრიგადებს შორის გამოსაკვლევად. ჩვენ მომავლისთვისაც სანტერესო გეგმები გვაქვს და ამ გეგმებს უთუოდ შევასრულებთ.

კითხვა: ეს კითხვა ალბათ მოულოდნელი არ იქნება თქვენთვის. დღეს ფეხბურთის უკეთ გუნდებაკეთებაზე ლაპარაკობენ ყველა „დინამოს" თაობაზე, მომავალი ამ გუნდისა, რომელიც წლების მანძილზე საბჭოთა ფეხბურთის ერთერთი ფლაგმანი იყო. ახლა „დინამოს" ამკარად უჭირს, რა იქნება ხვალ?

დ. ყიფიანი: ევროპულ სარბიელზე დიდი გამარჯვების შემდეგ ბევრი დრო გავიდა—მეოქნე ვერ ვეტყვი, მაგრამ თბილისის „დინამოსთვის" ეს ორი წელიწადი მნიშვნელოვანი ცვლილებების პერიოდი იყო და ამას შედეგიც ლოგიკური მოჰყვა: გუნდმა ვერ შეინარჩუნა ბრძოლუნარიანობა, თამაშის აღორძინება ტლიო და მიმდინარე ჩემპიონატში სატურნირო ცხრილის ბოლოში აღმოჩნდა. ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებსაც „დინამოს" მაისტერ ჩაუვლეს, არ ისვენენ მზად დიდი გამოცდილებისთვის და ხან ოსტატობა დალატობდათ, ხან ნერვები, მაგრამ ჩვენ ღრმა რწმენით, რა დროსაც ამბავია. „დინამოში" ახლა ათიოდე ნიჭიერი, უდავოდ პერსპექტიული ფეხბურთელი თამაშობს, თანდათან იკვეთება კოლექტივის სახეც და ჩემპიონატის ფინიშზე თუ არა, უკეც მომავალი სეზონისთვის აღმაო ბევრი რამ შეიცვლება.

რ. გოგლიძე: დავითს, ცხადია, უჭირს ამ თემაზე საუბარი, რადგან ერთ-ერთი ამათთაგანია, ვინც ოატივა თბილისის „დინამო". მეგობრები, მინდა დაგარწმუნოთ, რომ ქართული ფეხბურთის მესვეურები, თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობა, თითოეული ღონისძიება გრძნობს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რაც მათ აკისრიათ რესპუბლიკის, მთელი ქვეყნის წინაშე. ჩვენ გვჯერა, რომ თბილისის „დინამო" უთუოდ დაიბრუნებს ძველ სახეს. ამისთვის კი, რასაკვირველია, საჭიროა დრო. დრო და მოთმინება.

ჩაიწერა ე. ბერიშვილმა.

კოდექს 5 მედალი

(დასაწყისი)

კომპლექსურ ამანთიცურვაში 4X100 მ-ზე. გამარჯვებულთა დროა 3.48,62 ვერცხლის მედლები დაიმსახურეს ლენინგრადელებმა — 3.49,68, ბრონზათისი — მოსკოველებმა — 3.50,01. ჩვენი რესპუბლიკის ღირსების იცავდა ოთხეული პ. ერემაძის, ვ. კუხარევის, ე. იაკოვლევისა და ა. გორბუნოვის. თამაზგანლობით გუნდმა 4 წუთსა და 04,48 წამში გაიარა დისტანცია, რაც მე-12 შედეგი აღმოჩნდა. ამრიგად, საქართველოს მოკურავეთა ნაკრები საერთო გუდულ ჩაოვლილი 4 ადგილზე გავიდა (181 ქულა) და ერთი ნაბიჯი გადადგა წინა, 1979 წლის სპარტაკიადის შემდეგ. ჩემპიონობა უკვიანის ძლიერმა კოლექტივმა მოიპოვა (1658,5 ქულა), რომელმაც ოლიმპიადაზე უკან მოტოვა ოქრო [illegible] ქულით (1642,0) და რსფსრ-ის ნაკრებისა (1280,0) გუნდები.

ორი ნაბიჯი წინ

ათდღიანი ბრძოლები დამთავრეს ტრამპლინიდან წყალში მტრედებმა. ბოლო დღეს სპორტკომპლექსში „ოლიმპიურში" ოქროს მედალს 10 მ-იანი კოშკიდან ხტომაში ერთმანეთს იცილებდნენ ვაჟები. საკმაოდ სანტერესო ბრძოლაში და დაისკუთრა მოსკოველ ბრონზაოს, ევროპის 1980 წლისა და ქვეყნის 11-გზის ჩემპიონმა, 27 წლის ერევნელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა დ. ამბარცუმიანმა. 10 ბატმოს ჯამში მან 588,48 ქულა მოაგროვა. II ადგილზე მოსკოველი ე. სორტკინი (573,87), III — 6. დრუჭინი (რსფსრ) — 572,13.

საშეწუხაროდ, საქართველოს სპორტსმენი ვაჟები ამ საბერობაზე წარუმატებელად გამოვიდნენ. წინასწარ ტურნირში 26 მონაწილეს შორის 18 წლის განთიადელმა სპორტის ოსტატმა ჯ. ზავდიამ მე-18 შედეგი აჩვენა (315,75), ხოლო მისმა თანაგუნდელმა, 19 წლის სპორტის ოსტატმა ი. უკიბაშვილმა — 22-ე (267,90). ცხადია, ვერც ერთი მათგანი ნახევარფინალში ვერ მოხვდა. გარდა ამისა, საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის წყალობა მტრმელთა ნაკრება ძირითადად ქალების, პირველ რიგში კი ნ. ქარდავაძა და ლ. ცოტაძის წყალობით, სპატაო IV ადგილზე (84 ქულა) გავიდა. შეგახსენებთ, რომ წინა სპარტაკიადაზე ჩვენი ნაკრები 2 ადგილით უკან იყო. I ადგილზე რსფსრ-ის მხტომელები არიან — 343 ქულა, II — ბელორუსიელ — 205, III — მოსკოველ — 165. ექვსეულში შეეკიდნენ აგრეთვე სომხეთისა (83) და უზბეკეთის (69) ვაჟებიც.

• • •

ამრიგად, სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე ოსტატიის კუთვნილება გახდა. მისი მონაწილენი — სპორტსმენები, მწვრთნელები, ჟურნალისტები, სტუმრები ეთხოვებიან მოსკოვის, სპორტულ ბაზებს, დიდ სპორტულ პატალეებს, სასპარტაკიადო თილისმას — სტუმართმოყვარე „ატეიწას."

სპარტაკიადაზე — საბერთაო სპორტული დიდი დათვალიერება და ზეიმი — ოლიმპიადის ყველა ეტაპზე 100 მილიონამდე მონაწილე გამოვიდა. ამ ციფრში ჩვენ არ ვან — დამთავრდა, მაგ. სპარტაკიადაზე მონაწილეობით მას. დიდ, ტაკიადა დამთავრდა, სპარტაკიადა გრძელდება! უნდა ვიფიქროთ, რომ მოსკოვის სტატუსი ბაძავ მისკენ ჩვენს ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას. ახალ ნიჭიერ ათლეტებს, მომავალ ჩემპიონებსა და რეკორდსმენებს მიიზიდავს სპორტი, ნაკრები გუნდების წევრები კი — სპარტაკიადაზე.



ციფრები, ფაქტები...

სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე 100 მილიონამდე კაცმა მიიღო მონაწილეობა. თუმცა ზოგი ფინალური ასპარეზობები უკვე დამთავრდა, მაგრამ ზოგიერთები სპორტის ბოლომდე გაგრძელება. სპარტაკიადაზე ჩემპიონატში 234 თას ფიზკულტურისა და სპორტსმენ კოლექტივზე, აგრეთვე სასწავლებლებში, კოლეჯურ ნებებსა და სამუშაო ბიურნებებში.

სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებაში მოკავშირე რესპუბლიკა და მოსკოვისა და ლენინგრადის 8685 სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. მათთან ერთად მოწვეული იყო 700-მდე უცხოელი სპორტსმენი სხვადასხვა ქვეყნიდან. სპარტაკიადის სტუმართა შორის იყო საერთაშორისო და ეროვნული სპორტული ფედერაციების 200-ზე მეტი წელმძღვანელი.

• • •

ფინალური შეჯიბრებები სპორტის 32 სახეობაში ჩატარდა. ასპარეზობის პროგრამაში პირველად იყო შეტანილი სინქრონული ცურვა, ბალახის ჰოკეი და ქალთა მარათონი, ნიჩბოსან-მებაიდრეო ოთხეულთა სტაფეტები და მოკრივეთა შეჯიბრება (91 კგ წონის ზემოთ). ოცწლიანი შესვენების შემდეგ სპარტაკიადაზე კვლავ გათამაშდა ჯილდოები მაგიდის ჩოგბურთში. სულ მონაწილეთა მეცდების 246 კომპლექტისათვის ებრძოდნენ.

• • •

რეკორდების მხრივ ყველაზე უხვმოსავლიანი აღმოჩნდა მოსკოვის „ბზმაილოოვის" სპორტის სასახლის ფიცარნაგის, სადაც შტანგისტები გამოდიოდნენ. აქ 10 მსოფლიო და 4 საკავშირო რეკორდი დაეშხო. ამასთან ერთად სხვადასხვა ჭიქების წარმომადგენლებმა არაერთი ეროვნული მიღწევა გაიმეორებინეს, ორი საათის განმავლობაში ზემოთ წონის აღორძინებაში მოლაპარაკებისას „ადამასტის" რეკორდებს ცხრილი. ყველაზე ძნიმე შტანგა 22 წლის ვინიცელმა ს. დიდიკა დასწია ატაცში — 261 კგ. ეს ამსოლუტური რეკორდია ძალოსნობაში.

• • •

ჯილდოების ყველაზე მეტი რაოდენობა—39— მძლეოსნობაზე მოდის, რომლის სტატებში ყველაზე მეტი, 1400 მონაწილეა მიჰყავდა. ესენი იყენენ მოკავშირე რესპუბლიკებისა და მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდების წარმომადგენლები. მათთან ერთად ბილიკებსა და სიქტორებზე გამოვიდა ევროპის, აზიის, ოფრიკისა და ამერიკის 30 ქვეყნის მძლეოსანი.

დის ლაურეატები თუ ხელმოცარულნი — ამთავითვე შეუდგებიან მზადებას მომავალი დიდი ორთაბრძოლებისათვის, მათ შორის, ახალი ოთხწლიანის დამაგვირგვინებელი სპარტაკიადის, სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადისთვის.

დიახ, ჩვენ არ ვემშვიდობებით სპარტაკიადას. დღეი საბჭოთა სპარტაკიადა გრძელდება!

ო. ნოზაძე.

სპორტული ბანკი

წყალში ხტომა. ქალები. კოშკი. 1. ა. ლობანჯინა (რსფსრ) 457, 26 ქულა, 2. ს. სტასიულევიჩი (ბელორუსია) 439,20, 3. ი. კალინინა (მოსკოვი) 399,75, **4. ლ. ცოტაძე (საქართველო) 398,78,** 5. ს. ეფიმჩიკინა (სომხეთი) 390,66, **6. ე. ბიდილოვა (საქართველო) 388,79.**

საბერო. 57 კგ. 1. ა. აჭსოროვი (რსფსრ), 2. ვ. ოუკაროვი (უკრაინა), 3. ს. ადიგუზალოვი (უზბეკეთი) 4. ვ. ტუტერევი (რსფსრ), 5. ვ. ასტახოვი (მოსკოვი), 6. ა. ზუბრნკო (ლატვია); **62 კგ.** 1. ე. ესინი (რსფსრ), 2. ხ. მარიევი (მოსკოვი), 3. ი. ვედოკიმოვი (უკრაინა), 4. ხ. უმიანოვი (ბელორუსია), 5. ვ. ტურუკოვი (ლატვია), 6. ვ. ბერეზოვი (ლენინგრადი); **68 კგ.** 1. ვ. კრიონოვი (ბელორუსია), 2. ვ. [illegible] (უკრაინა), 3. ვ. ბაბინ[illegible]ელეცკი (რსფსრ), 4. ნ. ბარბუ (მოლდავეთი), 5. ვ. [illegible]ინცევი (თურქმენეთი), 6. ვ. [illegible]ინცევი (ბელორუსია); **90 კგ.** 1. ა. პუშაიცა (რსფსრ), 2. ვ. ჩინგანი (ლენინგრადი), 3. ი. კომპონეცკი (მოლდავეთი), 4. ო. მოტორინი (უზბეკეთი), 5. ს. მედვედევი (ლატვია), 6. ჯ. დვალთაძი (ტაჯიკეთი); **100 კგ.** 1. მ. ბარანოვი (ბელორუსია), 2. ბ. ანტონოვი (მოსკოვი), 3. ა. ნოვიკ (ბელორუსია), 4. მ. კოკორინი (ლენინგრადი), 5. ა. გუნინი (ციტრნეთი), 6. ე. სოლოდუხინი (მოსკოვი); **100 კგ-ზ ზევით.** 1. ვ. სიმონდრინოვი (უზბეკეთი), 2. ი. ბოგდანოვი (უკრაინა), 3. ვ. კუკუჩინი (ყირგიზეთი), 4. ვ. კუზნეცოვი (მოსკოვი), 5. ფ. შუბაბერი (ყაზახეთი), 6. ა. ჭრიბაუსკასი (ლატვია).

სეზონის საუკეთესო...

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 5 აგვისტო.

„დინამო" (თბილისი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 3:0 (2:0).

„დინამო": ცუცა, ფიფა, ჩიქაძე, კერესელიძე, ჯოხაძე (გურული), კაკოლაშვილი, ხვაინე, სულაქველიძე, ჩქარეული, ცაავა, შენგელაია (ბარაბოშვილი).

„ჩერნომორეცი": ჩისტოვი, ხოკოლოვსკი, ლეშჩუკი, ობშაკი, პლოსკინა, სკრიპაკი (ფსოიმაკი), პაზულკო, ბაბენი (ზელნინოვი), ფარკოვი, შარი, რომანენკო.

მსაჯი ვ. ფუცი (მინსკი).

გაყვრთხილეს რომანენკო და შარი.

დუბლიორები 2:0. ბორთები გაიტანეს ეორჯაშვილმა და გოგრიჭიანმა.

ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს მთელი მატჩის განმავლობაში ფაქტიურად ერთადერთხელ, შვიდეულის მე-20 წუთზე მიეცა გოლის გატანის შესაძლებლობა — შარიმ დარტყმული ბურთი ძლივს მოხვედა. სტუმრებმა ყველაფერი იღონეს — გულმოდგინედ დარაჯობდნენ მასპინძელად ფორვარდებს, მინდორის შუაგულიც სულაც უპარტნიორობის მიპროვება, კარჭარშემტევეებსაც მომართეს, მერე არც ამასთანავე ოლიმპის მფეთქნენ, მაგრამ იმ დღეს მაინც ვერაფერი მოხერხდა. ბოლოსკენ თბილისელთა წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს და სასიხარულო კანონზომიერად დამარცხდნენ დიდი ანგარიშით. ბარემ ჭკვა ეიტყვე, რომ ყოველგვარ საფეხბურთო ლოგიკას იყო მოკლებული სტილე, რომელიც „ჩერნომორეცმა" გამოიყენა შეხვედრის საქმიდან დიდ მონაკვეთში. განსაკუთრებით ინტენსიურად კი მატჩის მიწურულს, იმ დროს, როცა ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. უხვშობას, ნაძოლ თამაშს გამართლება საერთოდ არა აქვს, მაგრამ თუ ქულის ვადაირნის ობიექტიურად ძნელი აღარ არსებობს, თუ ფაქტიურად აღარაფრისვის ეცვე თავს, გაუმართლებელია მხოლოდ საკუთარ განწყობილებას გაფქრი ანგარიში და მოურიგებლად ასახირო შეტაკე. სწორედ ასე მოიქცნენ ჩვენი სტუმრები და ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი რამ მაინცდამაინც ოქროსი ხილი არ არის ჩვენს ფეხბურთში. მკითხველს უფლება ეძლევა შემხნეულად საკითხისი „დონაციის" კარგად დაიწყოს თამაში, რომ კოჭებისა და წვივების მტვრევა მაშინვე გახშირდეს. მტკიცება არ უნდა იმას, რომ მეტოქის ოჯახურ გართხობაში ერთხელ მცირე კომპეტისეობა გუნდისთვის, რომლის შემდეგ ნაკლებად შეეძლო ტრადიციურ ფეხბურთულებით ეცსება. აი, ამ თვალსაზრისით საყვედური ეთქმის შენგელაის არბიტრს ვ. ცუკს, რომელსაც ნამდვილად შეეძლო დროზე აღეკვეთა ეს უმსგავსობა, და რომელმაც საერთოდ ურიგოდ არ იმსაჯა მატჩი.

თამაშის დაწყებიდან წუთიც არ იყო ვასული, რომ ცაავა-ჩქარეული-კაკოლაშვილის კომბინაცია ფუტი დარტყმითა და გოლით დასრულდა — 1:0.

მატჩის დასაწყისშივე გატანილ გოლს ხშირად მტკიცედ ბრძანებლობას ანეშენენ ხოლმე, ცოტახნე, ასეთი ბრძა გამოვეცი სტუმრების წმერთნელმა პრეს-კონფერენციაზე. მისი თქმით, პირველმა ბორთმა თითქოს ფრთები შეასხა თბილისელებს, ოდესელებზე კი უარყოფითად იმოქმედა. იქნებ სასამართლო არც ლირდეს, მაგრამ არც თუ ობიექტიურად ბრძანება

— დაწინაურებული გუნდი ნაკლებ აგრესიულად, უფრო ფრთხილად, ხშირად მეტისმეტად ფრთხილადაც კი თამაშობს და ისჯება კიდეც ეძისთვის. პირველი 10-15 წუთი რაიმე ამისმაგვარი იგრძნობოდა თბილისელთა მოქმედებაში. საბედნიეროდ, მასპინძლებმა დროულად ითქვა ხელი ერთი გოლის შენარჩუნების თუ არა, ფრთხილად თამაშის ტაქტიკაზე და ეფექტურ გადავიდნენ. სხვაგვარად არც შეიძლებოდა — მინდვრის წესისმიერ წერტილში აშკარად გვრძნობდით ღინჯოელთა უპირატესობა.

მე-14 წუთზე ორი ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს სუანიდე — კაკოლაშვილმა და ცაავა — შენგელამ. პირველ შემთხვევაში კარგად ითამაშა მეკარე ჩისტოვმა და საერთოდ, ოდესელთა გოლკიპერმა ამ მატჩში იმდენი ძნელი ბურთი აიღო, რომ მჭერონელის ქება კი დაიშსხურა.

25-ე წუთიდან მოყოლებული ტაიმის ბოლომდე „ჩერნომორეცი" ძლეულებული იყო. შენგელის დასაწყისში გამეებული გოლი დავიწყებია და მხოლოდ მეტრის მოგერიებაზე ეფიქრა.

მეკეთები უხეშად ეთამაშებან ერთმანეთს, ხშირად ფიზიკურ ძალას ეიღი მიეკარე. 28-ე წუთზე კერესელიძე — შენგელია — ჩქარეულის კომბინაციის შემდეგ ისევ მეკარემ იყოსაღა. 35-ე წუთზე ჩისტოვს ისევ დასჭირდა ოსტატობის ჩვენება — შენგელას წარკვეთისთვის დანაშნული დარტყმა შეეცდებოდა შეასრულა ცაავამ. 42-ე წუთზე სტუმრები მაინც ვერ გადაურჩნენ ბოლს — ჩქარეული — კაკოლაშვილი — შენგელია. დიდხანელი ფორვარდის სპანდელი დარტყმა უხვლო იყო — 2:0. შენგელიას უხეიბელურობის მცდელობა უშედეგო გამოდგა — ვერც სცრისმკმა (შეა ტაიმში მოიღო) და ვერც რომანენკომ ამოცანა ვერ შეასრულა, რა თქმა უნდა, კარგად თამაშობდა თბილისელთა ცენტრალური თავდამსხვრევი, მაგრამ ეს ყველაფერი საერთოდ მთელი გუნდის, ოლქიტეტური თამაშის დამსახურება უფრო იყო.

მეორე ტაიმი ბეეერი არ განსხვავებოდა პირველისაგან. „დინამო" უველა უბანზე, უველა საფეხბურთო კომპონენტში სჯობდა მეტოქეს, მაგრამ ლამაზი იყო 56-ე წუთზე ცაავას მიერ გატანილი გოლი. ახალგაზრდა ფეხბურთელმა ჯერ ორი მცველი მოაჯეჯილა, შემდეგ კი ისე ძლიერად და ზუსტად დარტყა, რომ ჩისტოვი მართლაც ვერაფერს გააწყობდა — 3:0.

საინტერესოა ისიც, რომ შენგელიასა და ჯოხაძის ცალკეულ მონაკვეთებს გამოსული ბარაბოშვილი და გურული წქარად ჩაერთნენ თამაშში. სხვათა შორის, ამ ორიოდე წუხბურთელმა ლეგენდაში მოსკოვის ნაკრებთან სასპარტაკიადო მატჩში საოკეანეს შთაბეჭდილება დატოვა სპეციალისტებში.

81-ე და 84-ე წუთებზე გურულსა და კერესელიძეს ანგარიშის გაზრდის ძალზე კარგი შესაძლებლობა მიეცათ — პირველ შემთხვევაში ისევ სტუმრთა მეკარემ გამოიჩინა თავი, მეორეჯერ ქულს მოხვედა ძლიერად ცაავამ.

ბურთი.

ი. ბერიაშვილი.

* * *

ხ უ რ ა თ ე ბ ე ბ ი: თბილისის „დინამოსა" და ოდესის „ჩერნომორეცის" შეხვედრის მომენტები: გ. ჩქარეული (მარცხნივ) და გ. ცაავა თამაშის დროს.

გ. სანაიას ფოტოები.

ოქტომბრელების ქულები

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 5 აგვისტო.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „შახტიორი" (დონეცკი) 3:1 (1:1).

„ტორპედო": გახელია, ჯორიძე (თანდაბეშვილი), თეფნაძე, ვახტანგ (უგულავა), კორტანაძე, თავაძე, კორძაია, ქვარნაძე, მეგრელიძე, გორგილაძე, ჯიბაძიშვილი.

„შახტიორი": ელინსახი, ვარხვაშკი, ხოკკო, რადეცკი (პოკოდინი), პარხომენკო, რუდაკოვი, ოშჩეპკო, სოკოლოვსკი (ხმილნიცკი), მოროზოვი, ოურჩენკო, გრაჩოვი.

მსაჯი ა. ხაირანი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:1. ქუთაისელთაგან ბორთი გაიტანა მანჯაგიძემ.

ამ მეტად საპასუხისმგებლო მატჩის პირველი ნახევარი ფრად დამთავრდა. ორთა შორის მოგებს ტორპედოელება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სწორედ პირველ ტაიმში თამამზე სრული სიძლიერით და დიდი ტერიტორიული უპირატესობით მასპინძლებმა, შეორე ნახევარში კი წარმატებას მიაღწიეს სწრაფი, ე. წ. „ფეიერბაღით" კონტრიერიშებით, რომელთა დროსაც ჩვენული ავრესიულობით და გოლის გატანით: აღდი-ით გამოიჩინა თავი ეგარელაძემ.

თამაშის პირველივე წუთებზე დინეკულთა ნახევარზე სწრაფად გავდა კვერნაძე და მიაწოდა ჯიბრშვილს, საკმაოდ ახლო ის უკანასკნელს მეტი სიზუსტე გამოეჩინა და მეკარე ელინსახი ვერ გადაურჩებოდა გოლს...

მაგრამ ბორთი მაინც გავდა: მე-13 წუთზე ელინსახმა წესის დარღვევით წაქცია გორგილაძე, ა. საბორნმა დანიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა თვით გორგილაძემ — 1:0.

24-ე წუთზე სტუმრებმა გაათანაბრეს ანგარიში (სოკოლოვსკი), თუმცა ინიციატივას საფუძვლიანად ფლობდნენ ტორპედოელები, ისინი ხშირად ქმნიდნენ საბიეთო მომენტებს სტუმრების კართან ანგარიშის გაზრდა შეიძლოთ მეკრელაძე, კვერნაძე, კორძაია-ძე, გორგილაძე. განსაკუთრებით აღსანიშნავია გორგილაძის აქტიური, ეფექტური თამაში, იგი პატრელეთ მატჩებიდან კარგად, შეიწყო კოლექტივს.

შესვენების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალით გათანაბრდა, მაგრამ, როგორც ეტყოდ ითქვა, ქუთაისელები მოელოდნენ და სწრაფად გადადიოდნენ კონტრიერიშებზე, რომელთა დროსაც განსაკუთრებით სახიფათო იყო მეკარე ელინსახი. 65-ე წუთზე რუდაკოვი ლაგ. ბურთის გადაცემისას მეკარესთვის ვერ ჩაიგნო და ბურთი დაეცა ფეხებთან. ეს უხეშად შეცდა, „ს... ირიგით მეგრელაძეს და ძლიერი დ... წინ გაიყვანა თავისი გუნდი, შედეგ კი, 88-ე წუთზე, როცა გორგილაძის საკარიმო დარტყმა ძლევ მოიგერია ელინსახმა, მეგრელაძე ყველაზე ადრე გაჩნდა საბორთო ადგილს და საბოლოოდ განამტკიცა ქუთაისელთა წარმატება.

ეს 2 ქულა პაიჭიეთ ესაჯარო-ებოდა ჩვენს გუნდს. იმედი, რა თქმა უნდა, არის, ტორპედოელებმა ახლა ძალების სრული მობილიზებით უნდა ხათამაშონ ოდესა-შიც (9 აგვისტო) და კიშნიოვ-შიც (21 აგვისტოს).

ბ. ნამოიშვილი,
(ტელეფონით ჩვენი კორ.).



* * *

გუშინ ლენინგრადში გაიმართა უმაღლესი ლიგის სეზონბრძოლთა ჩემპიონატის მატჩი ადგილობრივ „ზენიტსა" და მოსკოვის „სპარტაკს" შორის.

შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 2:0 „სპარტაკის" სასარგებლოდ.

* * *

გათამაშების ცხრილი

ქრონომეტრი შეჯამდელოდანი

მდგომარეობა 5 აგვისტოსთვის

	თ. მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ზენიტი"	23	13	5	5	41-24	31
„დინ." მნ.	23	13	5	5	36-22	31
„ფახტ."	23	10	8	5	28-17	28
„ჩერნომ."	23	12	3	8	31-27	27
„სპარტ."	22	10	7	5	37-17	27
„შახტ."	23	12	2	9	37-27	26
„ოდგარ."	23	9	8	6	22-24	26
„ზენიტი"	23	9	7	7	24-22	25
„ცსკა"	22	8	7	7	28-22	23
„დინ." ქ.	22	8	7	7	22-25	23
„მეტალ."	22	8	5	9	28-31	21
„ნეფთჩი"	23	7	7	9	22-24	21
„არარატი"	23	8	3	12	20-33	19
„დინ." თბ.	23	7	4	12	32-34	18
„დინ." ბ.	22	4	8	10	15-24	16
„ტორპ." ქ.	23	3	8	12	19-35	14
„ნისტრო"	23	3	3	17	13-45	9

გამომართა რესპუბლიკის სათვებურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

„ხვარაჯაო" (ცხხვალი) — „ავტომობილისტი" (თბილისი) 3:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).

გოლები: მარღიანი, ხოშტარია, ჯიში.

„ალაზანი" (ყვარელი) — „ნეკრესი" (ბოლნისი) 1:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

ბორთი გაიტანა შავიშვილმა.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ხვარაჯაო" (თიანეთი) 1:1. მსაჯი დ. მგელაძე (ქუთაისი).

გოლები: ლომიძე („ლოკომოტივი"), ქანთელაძე („ხვარაჯაო").

„არმაზი" (მცხეთა) — „ალაზანი-2" (ახმეტა) 1:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

„ივერია" (ხაშური) — „ლოკომოტივი" (ზესტაფონი) 2:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).

გოლები: ჯორჯიკია, ლიპარტელიანი („ხაშური"), მოდებაძე („ზესტაფონი").

„ალაზანი" (გურჯაანი) — „ხვიტორი" (გარდაბანი) 2:2. მსაჯი ვ. ეკანაკი (თბილისი).

გოლები: ლობაძე, ცირკიძე („ალაზანი"), გეორგიშვილი 2 („ხვიტორი").

„ქართველი (გორის რაიონი) — „ახალგორი" (თელავი) 1:1. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).

გოლები: ბერიშვილი („ქართველი"), მასსურიაძე („ახალგორი").

„შევარდენი" (თბილისი) — „მანგუსელი" (ბოლნისი) 1:1. მსაჯი თ. ხალილაძე (თბილისი).

გოლები: ჯოხელაშვილი („შევარდენი"), ჯაფოლი („მანგუსელი").

დასავლეთი ზონა

„ხულორი" (ვანი) — „ამირანი" (ონიშორე) 2:0. მსაჯი რ. ტალაშვილი (თბილისი).

გოლები: ბერეკაძე-2.

„ჭყონდიდელი" (ჭყონდიდელი) — „ტაო" (ახალქალაქი) 2:0. მსაჯი ა. ბაქრაძე (ქუთაისი).

გოლები: ბაქრაძე, ბერიძე.

„ჭიათურა" (ჭიათურა) — „ტყიბული" (ტყიბული) 2:0. მსაჯი ნ. ბერიძე (ქუთაისი).

გოლები: ბერიძე, ბერიძე.

„ფოთი" (ფოთი) — „ტყვარჩელი" (ტყვარჩელი) 2:0. მსაჯი ნ. ბერიძე (ქუთაისი).

გოლები: ბერიძე, ბერიძე.

**„ტყიბული" (ტყიბული

ჰელსინკი ჩემპიონატის წინ

დღეს ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე იწყება მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი მძლეოსნობაში.

ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ფინეთში საბჭოთა ჟურნალისტების ჯგუფთან ერთად ვიმოგზაურეთ. ვიყავით მრავალ ქალაქში, ყველგან იგრძნობოდა მსოფლიო ჩემპიონატის ჟოაწლეება, ყველგან გულღიად უცდებებოდნენ ჩემპიონატს, ეწვნენ და და მსოფლიოს მძლეოსნთა ამ დიდი ფიესტის თაოსნებს — მხიარული ბაჭია, იგი აშკენებდა ჩვენთანტის ადიშეს. დიდ პარკებს, სუფეხიტებს, ტელეკრანებს... ბუნებრივად თოჯინებიც. ყველგან ამაზე დიდი მოთხოვნილება იყო და ამიტომ მათი ფასიც ერთიორად გაიზარდათ.

მძლეოსნთა მსოფლიო ჩემპიონატის საგულისწიოდ მოემზადა ჰელსინკი. ოლიმპიურ სტადიონს ტრიბუნები დაამატეს, სტადიონისკენ საგანგებოდ 600-მეტრიანი გვირაბი გაიყვანეს. აქვე, სარბენილთან მდებარე ოლიმპიურ კომპლექსში პრესცენტრი მოაწყვეს.

ფინეთში მოგზაურობისას შევხვედით მრავალი ქვეყნის სპორტმენებს, რომლებიც ამ ჩემპიონატის დაწყებამდე ჩამოვიდნენ. ისინი ჰელსინკის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ ესპოოში დაბინავდნენ.

პატარაო, ესპოოზე რომ ვამბობთ, ჩვენი ქვეყნის ქალაქების მასშტაბებს ვგულისხმობთ, თორემ ესპოო სიდიდით ფინეთის მეოთხე ქალაქია, სადაც 140000 კაცი ცხოვრობს. ამ ქალაქში დაბინავდებიან ჩემპიონატის დანარჩენი მონაწილენიც, რომელთაგან გამარჯვებულნი და პრიზიორები ლამაზ მედლებს მიიღებენ. მედლის ერთ-ერთ მხარეს მორბენალი ასავო ნურმია გამოსახული, უფრო სწორად, ამ სახეგაბნეშეული ფინელი სპორტსმენის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც ოლიმპიური სტადიონის მისადგომებთანაა აღმართული.

ა. გუნასაფვილი.
ჰელსინკი-თბილისი.

* * *

სურათებზე: ზემოთ — ჰელსინკის ოლიმპიური სტადიონი. წინა პლანზე — ქალი ნურმის ქანდაკება; ჰელსინკის ერთ-ერთი ქუჩა, რომელზაც ძმეღოსნობა მსოფლიო ჩემპიონატის ემბლემა აშნევნებს; ჩემპიონატის თოჯინები — ბაჭია და ერთ-ერთი დიდ ბარათი.
ავტორის ფოტოები.





გრძელ დისტანციებზე მორბენალმა ალენაციულმა სპორტსმენებმა დიდი ხანია მყარი ავტორიტეტი მოიპოვეს მსოფლიო სპორტში. პირველებმა თავი ევროპელმა სპორტსმენებმა გამოიჩინეს. ლეგენდარულმა ემილ ბაკელამ მოიგო მარათონი 1960 და 1964 წლის ოლიმპიადებში, იგი 1968 წელს მამა ვოლდემ შეცვალა. შემდეგ გამოჩნდნენ კენიელი კიპჩოგე კეინო 1968 (1500 მ) და 1972 (3000 მ წინაღობებით) წლების ოლიმპიური ჩემპიონი და მოსაქმე გამ- ნინი), რომელმა ... 1964 წელს მოი... ვერცხლის მედალი ... 10000 მეტრზე რბენაში, 1968 წელს ოქროსი, ხოლო 1972 წელს კანადა „ვერცხლს" დაეპატრონა 5000 მეტრზე რბენაში. მაგრამ ტანისული მორბენლებიდან შემდგომ არაფერს გაესოლია მას კანის. კენიაში კი გამოვლინდნენ უმაღლესი კლასის მორბენლები — ოლიმპიური ჩემპიონები ნაფტალი ტემუ, ამოს ბიეტი, მსოფლიო რეკორდსმენები ბენ ჯიპჩი, სამსონ კიმობი და, რა თქმა უნდა, ჰენრი რონო.

ეთიოპიელი მორბენლების ტანდიციები დიმსუელად გაგრძელა ორგზის ოლიმპიონმა ჩემპიონმა მორუტა იფტერმა.

70-იან წლებში თავი იჩინა ტანზანიელი ფილბერტ ბეის ნიჭმა. მან მთელი რიგი მაღალი შედეგები აჩვენა, იყო მსოფლიო რეკორდსმენი 1500 მეტრზე და 1 მილზე რბენაში. ცოტა მოგვიანებით, თავი გამოიჩინა მისმა თანამემამულემ სულეიმან ნიამპუიმ. მოსკოვის ოლიმპიადაზე ორივემ ვერცხლის მედალი მოიპოვა. მაგრამ ტანზანიელი მძლეოსნები მაინც ჩამორჩებიან კენიისა და ეთიოპიის მორბენლებს, რომლებიც ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატის საგულისწიოდ მოემზადა ჰელსინკი. ოლიმპიურ სტადიონს ტრიბუნები დაამატეს, სტადიონისკენ საგანგებოდ 600-მეტრიანი გვირაბი გაიყვანეს. აქვე, სარბენილთან მდებარე ოლიმპიურ კომპლექსში პრესცენტრი მოაწყვეს.

ფინეთში მოგზაურობისას შევხვედით მრავალი ქვეყნის სპორტმენებს, რომლებიც ამ ჩემპიონატის დაწყებამდე ჩამოვიდნენ. ისინი ჰელსინკის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ ესპოოში დაბინავდნენ.

პატარაო, ესპოოზე რომ ვამბობთ, ჩვენი ქვეყნის ქალაქების მასშტაბებს ვგულისხმობთ, თორემ ესპოო სიდიდით ფინეთის მეოთხე ქალაქია, სადაც 140000 კაცი ცხოვრობს. ამ ქალაქში დაბინავდებიან ჩემპიონატის დანარჩენი მონაწილენიც, რომელთაგან გამარჯვებულნი და პრიზიორები ლამაზ მედლებს მიიღებენ. მედლის ერთ-ერთ მხარეს მორბენალი ასავო ნურმია გამოსახული, უფრო სწორად, ამ სახეგაბნეშეული ფინელი სპორტსმენის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც ოლიმპიური სტადიონის მისადგომებთანაა აღმართული.

ა. გუნასაფვილი.
ჰელსინკი-თბილისი.

* * *

სურათებზე: ზემოთ — ჰელსინკის ოლიმპიური სტადიონი. წინა პლანზე — ქალი ნურმის ქანდაკება; ჰელსინკის ერთ-ერთი ქუჩა, რომელზაც ძმეღოსნობა მსოფლიო ჩემპიონატის ემბლემა აშნევნებს; ჩემპიონატის თოჯინები — ბაჭია და ერთ-ერთი დიდ ბარათი.
ავტორის ფოტოები.

აფრიკელი მორბენლები

ნატის ჯილდოების მთავარი პრეტენდენტები არიან. კენიელები წარმატებით ასპარეზობენ 800-დან 10000 მ დისტანციებზე, ხოლო ეთიოპიელი მორბენლები 5000 მეტრიდან მარათონის ჩათვლით.

კენიის ბევრი წარმომადგენელი სამშობლოდან შორს იყოფება, ბევრი აშშ-ის უნივერსიტეტებში სწავლობს. ხშირად სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებიან პირად და გუნდურ ოლიმპიურ ჩემპიონატზე ვერასდროს მოუყარა თავი ყველა უძლიერესს.

ეთიოპიაში სხვაგვარადაა. უძლიერესი სპორტსმენები შინ არიან. აქ ძალზე პოპულარულია ჯგუფური ვარჯიშები, რაც ხელს უწყობს კოლექტივიზმის სულისკვეთების აღზრდას. ეთიოპიელმა ათლეტებმა ეს თვისებები გამოავლინეს მოსკოვის ოლიმპიადაზე, მსოფლიო ჩემპიონატზე კროსში.

ვნახოთ, როგორია ამჟამად მორბენალთა პერსპექტივები ჰელსინკში საშაოალო და გრძელ დისტანციებზე.

800 მ. ამ დისტანციაზე ორ სპორტსმენს შეუძლია მედლებისთვის ბრძოლა. 21 წლის კენიელ-ამა სემ კოსკეიმ, რომელიც აშშ-ში სწავლობს, შარშან 1.44,93 აჩვენა. იგი მთელი სეზონის მანძილზე სტაბილურად ასპარეზობდა — თითქვ მოახერხა 1.46,0-დან გამოსვლა. მისმა თანამემამულემ ჯეიმს მაინამ (პირადი რეკორდი— 1.44,29) ბოლო წლებში რამდენადმე მოუქლო შედეგს, მაგრამ შარშან წლის ბოლოს ბრიტანელი თანამეგობრობის თამაშებზე მოპოვებული ვერცხლის მედალი (1.45,45) გვიჩვენებს, რომ სპორტსმენს საბოლოო სიტყვა ჯერ არ უთქვამს.

1500 მ. ბოლო ორი წლის მანძილზე კენიელი მაიკ ბობი ლადერობს აფრიკის საშაოალო დისტანციებზე მორბენლებს. 1981 წელს მას შესანიშნავი შედეგი ჰქონდა 1500 მეტრზე (3.33,67) და 1 მილზე (3.49,45) რბენაში. 1982 წელს მისი მაჩვენებელია — 3.34,63.

სულაწელ ოგარ კალიტი 1980 და 1981 წლებში საერთაშორისო კლასის შედეგები (3.34,11 და 3.34,96) ჰქონდა, მაგრამ შარშან იგი ბევრჯერ დაშავდა.

5000 და 10000 მ. ამ დისტანციებზე აფრიკელებს ჩემპიონატის მედლებისთვის ბრძოლის მეტი შანსი აქვთ.

აფრიკის ოლიმპიური ჩემპიონი მორუტა იფტერი ვარ... [illegible] ლებს, მაგრამ მთელი ... [illegible] არა, ვინაიდან თავს ... [illegible] შეჯიბრებებისთვის.

ლონდონში 1981 წელს ამ დისტანციაზე მორბენალმა ბრიტანელმა დევიდ მოორკრაფტმა ორივე ასპარეზობა მოიგო. ამ წარმატებამ ინგლისელი სპორტსმენი ერთ-ერთ ფავორიტად აქცია ჰელსინკის ჩემპიონატზე. მაგრამ მოორკრაფტი ამ სეზონში ჯერ ვერ ფორმაში შევიდა. ამ ინგლისელის ფორმის ამაღლებაზე ბევრი დამოკიდებულია ჰელსინკის ჩემპიონატის ბედიც.

3000 მ წინაღობებით. აქ ანგარიშგასაწევია ეშეტუ ტური (ეთიოპია), რომელმაც მოსკოვში „ბრინჯაო" მოიპოვა — 8.13,6. ოლიმპიადის შემდეგ მას ბევრჯერ არ უსაპარებია, მაგრამ მის სერიოზულ მომზადებაზე მეტყველებს სტაბილური და ძლიერი გამოსვლები კროსებში.

1982 წელს მოულოდნელი წარმატება ხვდა სტიპლ-ჩიზის ახალგაზრდა კენიელ ოსტატს იოლუს კორირუს, რომელმაც პირადი რეკორდით გაიმარჯვა ბრიტანელთა თანამეგობრობის თამაშებზე — 8.23,94. სპორტსმენს, რომელსაც ავარჯიშებს სახელგანთქმული კენო, აქამდე 8.31,0 შედეგი ჰქონდა.

რბენაში — 13.07,29 და ახალგაზრდა ბეკელ დებელე, რომელმაც სენსაციურ გამარჯვებას მიაღწია კროსმენთა წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე. ეთიოპიის ნაკრების მწვრთნელის ნ. რობას აზრით, ამ სპორტსმენებში შერწყმულია იფტერისა და კელინის საუკეთესო თვისებები.

მაშასადამე სეზონის აღმოჩენა გახლდათ 24 წლის კენიელი პატერ კოეხი. მან არა... არამედ ახალ... 5000 მეტრი... ... ამ დისტანციაზე ოსტატურობა. მისი შედეგების სერია ასეთია: 13.13,86; 13.14,71; 13.15,92; 13.26,6. აი, რა თქვა რონო კოეხზე: „მე მასთან ერთად ვვარჯიშობდი და ვფიქრობ, რომ იგი მსოფლიო რეკორდსმენიც გახდება".

წლიდან წლამდე სულ უფრო წარმატებით გამოდის ორი ტანზანიელი მორბენალი — გიდემას შაახვა და ზაკარია ბაში. 1982 წლის გაზაფხულზე მათ 10000 მ შესაბამისად 27.38,1-სა და 27,38,6-ში დაფარეს, ხოლო შემდგომაზე ბრიტანული თანამეგობრობის თამაშებზე პირველი-მეორე ადგილები დაიკავეს. შახვაც უკვე იყო ამ შეჯიბრების გამარჯვებული 1978 წელს (მარათონში). ახლა სპორტის ამ სახეობაში მისი ადგილი დაიკავა ჯუმა ივანგამ, რომელმაც აფრიკის რეკორდი დაამყარა — 2.09.30,0. ამ სპორტსმენსა თავისი კლასი წლეულს ტოკიოშიც დაამტკიცა — 2:10.54,00.

3000 მ წინაღობებით. აქ ანგარიშგასაწევია ეშეტუ ტური (ეთიოპია), რომელმაც მოსკოვში „ბრინჯაო" მოიპოვა — 8.13,6. ოლიმპიადის შემდეგ მას ბევრჯერ არ უსაპარებია, მაგრამ მის სერიოზულ მომზადებაზე მეტყველებს სტაბილური და ძლიერი გამოსვლები კროსებში.

1982 წელს მოულოდნელი წარმატება ხვდა სტიპლ-ჩიზის ახალგაზრდა კენიელ ოსტატს იოლუს კორირუს, რომელმაც პირადი რეკორდით გაიმარჯვა ბრიტანელთა თანამეგობრობის თამაშებზე — 8.23,94. სპორტსმენს, რომელსაც ავარჯიშებს სახელგანთქმული კენო, აქამდე 8.31,0 შედეგი ჰქონდა.

„დინამოს" საკავშირო თბილისელთა პირველი გამარჯვება

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში სტარტი აიღო „დინამოს" ცენტრალური საბჭოს საგიმნაო პირველობამ კალათბურთში.

პირველი მატჩი თბილისის „დინამომ" გამართა რსფსრ-ს გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 95:91 (51:41).

* * *

რჩევა გადაწყვეტი მატჩი

სან-პაულუში დამთავრდა კალათბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი. სსრ კავშირის ნაკრებმა სძლია ჩემპიონატის მასპინძლებს, ბრაზილიის კალათბურთელებს — 99:75 (55:40). ეს საბჭოთა გუნდის მეშვიდე გამარჯვებაა. მას უველაზე მეტი ქულა მოუტანა ბარელმა — 18.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: პოლონეთი-ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა 83:75 (40:38), იუგოსლავია-სამხრეთ კორეა 70:53 (34:30), აშშ-ბულგარეთი 99:77 (48:46).

ამრიგად, ოქროს მედლებისთვის გადაწყვეტ მატჩში ერთმანეთს ხვდებიან სსრ კავშირისა და აშშ-ს კალათბურთელები.

● მაგიდის ჩოგბურთი

საბჭოთა ნაკრები — შეძლებისა

შვეიცია ქალაქ მალმოში დამთავრდა ჭაბუკთა ევროპის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. გუნდურ შეჯიბრებაში უველაზე დიდ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა კოლექტივებმა, როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა ნაკრებებმა.

პირად შეჯიბრებაში ვერცხლის მედალი მოიპოვა დაიჩენკომ, რომელმაც ფინალში წააგო რუმინელ ნენიშთან. „ვერცხლი" მოიპოვა აგრეთვე გოგონათა წყვილმა: კომაკოვა — ტიმონაძე. ორი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა მაზუნოვმა: ერთეულთა შეჯიბრებაში, სადაც ფინალში გასასვლელად წააგო ვალდებრანთან, ხოლო მერე შეჯიბრეულ წყვილთა ასპარეზობაში ხასანოვასთან ერთად. ჩემპიონი გახდა ვალდენერი.

რედაქტორის მოადგილე
უ. მიქიაძე.

გაზეთი გამოდის უოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380098, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დებეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 93-97-44, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პრობლემების — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჰიდრაკის — 93-97-24; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მეშვიდენები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380098, თბილისი — 98, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. ტირაჟი 07698
გაზეთი კირკუნში, პოშტალიონი. ინდექსი 66435